ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური საფუძვლები XX საუკუნის საქართველოში

ავტორი:	დოდო ჭუმბურიძე
წლიური ნაშრომი	2007
შესრულებულია	ისტორიის ინსტიტუტი
განყოფილება	ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

By: *მამუკა დუმბაძე*

შესავალი, პრობლემის ზოგადი დახასიათება და ისტორიოგრაფია.

პოლიტიკური იდეოლოგიების შესწავლას და მათი ზემოქმედება ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრებაზე დიდ ყურადღებას აქცევენ თანამედროვე ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები და ეკონომისტები. განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი საქართველო საუკუნეების მანძილზე იბრძოდა ეთნიკური იდენტობის, საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და სულიერების შესანარჩუნებლად. ამდენად, ქართველი ხალხისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება, ნაციონალიზმი, მთელი ისტორიის მანძილზე იყო დამახასიათებელი, მაგრამ ის არ გამიჯვნია ადრეულ თუ გვიანშუასაუკუნეებში მსოფლიოში მიმდინარე დადებით პოლიტიკურ პროცესებს (გაემიჯნა რელიგიურ სექტანტიზმს, ხატთმებრძოლობას და ა.შ.), არც ახალ ეპოქაში დაპირისპირებია ლიბერალიზმს, დემოკრატიას, თვით კოსმოპოლიტიზმსა და გლობალიზმსაც კი, კარგი გაგებით.

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში რამდენიმე პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ჯგუფი ჩამოყალიბდა. ბევრი მათგანი მომდინარეობდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში არსებული იდეოლოგიებიდან და იდეებიდან, ეყრდნობოდა ქართულ სინამდვილეს და, გარკვეულწილად, ახალ შინაარსსაც იძენდა. მრავალპარტიულობა, პლურალიზმი, ლიბერალურ-დემოკრატიული პრესის თავისუფალი სიტყვა, ლიტერატურის, თეატრის, არასახელმწიფო სტრუქტურების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამსახურში ჩადგომა- საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა, დამპყრობლური იდეოლოგია, შოვინიზმი და ნაციზმი, მკაცრი ცენზურა ხშირად უპირისპირდებოდა იმ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, რომელიც საქართველოში ყოველთვის იყო (ნაციონალიზმი), ან ახლა მკვიდრდებოდა, ებრძოდა პრესის, მწერლობის, თეატრის თავისუფალ აზროვნებას, მაგრამ ვერ ახშობდა.

XX საუკუნის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რამდენიმე ეტაპად, რთულ და მეტად თავისებურ ისტორიულ პირობებში წარიმართა. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ორჯერ აღიდგინა ქვეყანამ და ორჯერვე რუსეთის დამპყრობლურ, ნეოკოლონიურ სულისკვეთებას შეეჯახა. სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგია, იდო თუ არა მათ პროგრამაში ქართული ეროვნული ინტერესები, გარეგნულად მაინც გამოხატავდა მას და ქართველი ერის სამსახურში დგომის პრეტენზიას აცხადებდა. ჩვენი ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური საფუძვლები, ყველა პოლიტიკური პარტიის ან ჯგუფის ნამდვილი თუ ფსევდოინტერესები, მათი როლი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო იდეოლოგია, ასევე ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის 70-წლოვანი ეპოქა, როდესაც ქართულმა კულტურამ, მწერლობამ, მეცნიერებამ, თეატრმა და სხვა სფეროებმა თავისთავზე აიღო და ღრმად გამოხატა ლიბერალურ-დემოკრატიული თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, რაც ასე იდევნებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ. ამ ტენდენციების შესწავლა-გაანალიზება ძალზე საინტერესოა იმ ფონზე, როდესაც ცალკეული პოლიტიკური იდეოლოგიების გამომხატველ ევროპელ მწერალთა და მოაზროვნეთა ნაწერებს ასე დაწვრილებით განიხილავენ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან: იასპერსი [1] , ენდრიუ ჰეივუდი [2] , არონი[3] , ხაბერმასი [4] , ტოინბი [5] , სერბინი[6] , ჟან ბეშლერი [7] და სხვები.

ნაშრომში ცალ-ცალკე იქნება განხილული საქართველოში XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების იდეოლოგია და ის იდეები, რაც მათ პარტიულ, თუ სამოქმედო პროგრამებში იყო და არის ჩადებული, გაანალიზდება ქართველ მოაზროვნეთა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების ისტორია XX საუკუნის საქართველოში, ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და განმტკიცების ეტაპები.

*

ტერმინი "იდეოლოგია" ფრანგული წარმომავლობისაა. ის პირველად იხმარა საფრანგეთის რევოლუციის მონაწილემ - ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836). საჯაროდ ეს ტერმინი პირველად 1796 წელს გამოიყენეს. დე ტრესისათვის იგი იდეათა შესახებ მეცნიერებას ნიშნავდა. მისი აზრით, იდეების წარმომავლობის ობიექტური ახსნა შეიძლებოდა და მას ისეთივე ადგილის დამკვიდრება შეეძლო, როგორც, მაგალითად, ბიოლოგიას ან ზოოლოგიას ჰქონდა. რაკი ყველა კვლევა იდეებს ემყარება, ტრესს ეგონა, რომ ეს ახალი მეცნიერება - იდეოლოგია, ყველაზე გამორჩეულ დარგად იქცეოდა. თუმცა ის შეცდა: იდეოლოგიამ ვერ მოიპოვა ამგვარი ადგილი, უფრო პოლიტიკურ ტერმინად იქცა და ბევრისთვის უარყოფითი მნიშვნელობაც შეიძინა. ის გადაიქცა ისეთი ცნებების საპირისპირო ტერმინად, როგორიცაა "ჭეშმარიტება", "მეცნიერება", "რაციონალობა", "ობიექტურობა"... იდეოლოგიის ამგვარად შემფასებლებისათვის ეს ტერმინი ასახავს შეხედულებებსა და დოქტრინებს, რომლებიც მიუწვდომელია კრიტიკისათვის, ანდა, რომლის მიღმა პირადი ან ჯგუფური ინტერესები იმალება. დღევანდელ საქართველოშიც ხშირად მოისმენთ სიტყვა "იდეოლოგიზებულს", რაც მთლიანად უარყოფით კონტექსტში გაიაზრება.

მიუხედავად ამგავარი მიდგომისა, "იდეოლოგია წარმოადგენს მთავარ რესურსს პოლიტიკური რეალობის შექმნის, განსაზღვრის და შეფასებისათვის, პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის", - წერდა შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორი ენდრიუ გემბლი - ენდრიუ ჰეივუდის "პოლიტიკური იდეოლოგიების" შესავალი კურისის წინათქმაში.2.XIV

პოლიტიკურ ტერმინად სიტყვა "იდეოლოგიის" გადაქცევა უკავშირდება მარქსს (ნაშრომში - "გერმანული იდეოლოგია") და მარქსისტ მოაზროვნეებს. ამის მიუხედავად, როგორც ჰეივუდი აღნიშნავს, ტერმინის დღევანდელი მნიშვნელობა სრულიად განსხვავდება მარქსისტული დეფინიციისაგან. მარქსს, მიაჩნდა, რომ ადამიანთა იდეები მათ სოციალურ გარემოპირობებში ყალიბდება, შემდეგდროინდელმა მეცნირებმა შეცვალეს ეს თვალსაზრისი.

ჰერბერტ მარკუზემ, რომელიც აშშ-ში მოღვაწეობდა და გერმანული წარმოშობის ნეომარქსისტულ ჯგუფს ეკუთვნოდა, გამოთქვა აზრი, რომ იდეოლოგიის ძირითადი გამოვლენა ხდება ტოტალიტარიზმში, რადგან იგი ცდილობს მართოს საზოგადოება და არ ცნობს ოპოზიციურ შეხედულებებს. მარკუზეს აზრით, თვით ლიბერალური კაპიტალიზმის შემწყნარებლობაც რეპრესიულ მიზანს ემსახურება, რადგან აზრის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისა და კამათის შთაბეჭდილების შექმნით მალავს, თუ რა მასშტაბებს აღწევს იდეოლოგიური დამუშავება და კონტროლი. [8] რევოლუციური და მარქსისტული იდეოლოგიის კლიშე პირველად დაამსხვრია გერმანელმა მეცნიერმა კარლ მანჰაიმმა (1893-1947), რომელმაც 1929 წელს დაწერა ნაშრომი - "იდეოლოგია და უტოპია".[9] მისი აზრით, იდეოლოგია არის აზროვნებისა სისტემა, რომელიც კონკრეტული სოციალური წყობის დაცვას ემსახურება და ფართოდ გამოხატავს მმართველი ან გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს. მან გამიჯნა იდეოლოგიის "კონკრეტული" და "ტოტალური" გაგება. კონკრეტულ იდეოლოგიად იგი თვლიდა ცალკეული პარტიების, ინდივიდების, ჯგუფების მრწამსსა და იდეებს, ტოტალურად კი სოციალური კლასის, საზოგადოების ან ერთი ისტორიული პირის მსოფლმხედველობას. მისი აზრით, მარქსიზმი, ლიბერალური კაპიტალიზმი თუ ისლამური ფუნდამენტალიზმი - ტოტალური იდეოლოგიებია. ყველა იდეოლოგიური სისტემა მანჰაიმს მიაჩნდა გამრუდებულ-დამახინჯებულად, რადგან ყველა გვთავაზობდა და გვთავაზობს სოციალური თუ პოლიტიკური რეალობის ნაწილობრივ, საკუთრივ თავის ხედვას, რასაც საფუძვლად უდევს ასევე საკუთარი ინტერესები. მიუხედავად ამისა, მანჰაიმი თვლიდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტების პოვნა შესაძლებელია და მასზე ხელი არ უნდა ავიღოთ. ასეთი ობიექტურობის, მიუკერძოებელი და დისციპლინირებული კვლევის წარმოება შეუძლია მხოლოდ "სოციალურად თავისუფალ ინტელიგენციას", ინტელექტუალთა კლასს, რადგან მას არ გააჩნია საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, - ასეთი იყო მისი თვალსაზრისი.

იდეოლოგიის ცნების განსაზღვრას უარყოფითი დატვირთვა მისცა ტოტალიტარული დიქტატორული რეჟიმების პირობებში წარმოქმნილმა შეხედულებებმა და იდეებმა, რომლებიც ახშობდნენ განსხვავებულ აზრს, კრიტიციზმს, განამტკიცებდნენ, ამკვიდრებდნენ ორგანიზაციულ მორჩილებას და სხვა. ფაშიზმი და კომუნიზმი ასეთ იდეოლოგიებად არის მიჩნეული.

ზოგიერთი დასავლელი ავტორი, მაგალითად, პოპერი, იდეოლოგიად არ თვლის ლიბერალიზმს, რადგან მისი ამოსავალი პრინციპია თავისუფლებისადმი ღრმა ერთგულება, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნება, აზროვნების ღია სისტემა.

1962 წელს გამოცემულ წიგნში - "რაციონალიზმის პოლიტიკა" - ბრიტანელი პოლიტიკური ფილოსოფოსი მაიკლ ოუკშოთი იდეოლოგიებს აზროვნების აბსტრაქტულ სისტემებად აღიქვამს, ისეთ იდეებად, რომლებიც

სოციალური რეალობის გამარტივებისა და დამახინჯებისკენაა მიმართული, რადგან იმის ახსნის პრეტენზია აქვს, რაც ყოვლად გაუგებარია. ამგვარად, იდეოლოგია გათანაბრებულია დოგმატიზმთან ან სქოლასტიზმთან. [10]

1960-იანი წლებიდან ტერმინი "იდეოლოგია" ნეიტრალურ და ობიექტურ ცნებად დამკვიდრდა, მას ჩამოცილდა პოლიტიკური დატვირთვა. მარტინ სელიჯერი 1976 წელს გამოცემულ ნაშრომში ამ ცნებას განმარტავს, როგორც იდეათა სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანები აყალიბებენ, ხსნიან და ასაბუთებენ ორგანიზებული სოციალური ქმედების მიზნებსა და საშუალებებს, სულერთია - რისკენაა მიმართული ასეთი ქმედება - მოცემული სოციალური წყობის შენარჩუნების, გაუმჯობესების, აღმოფხვრის თუ ხელახალი შენებისაკენ." იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემაა. ამგვარი განსაზღვრით, ის აღარაა კარგი ან ცუდი, წეშმარიტი ან მცდარი, ღია ან ჩაკეტილი, განმათავისუფლებელი ან მჩაგვრელი - იდეოლოგია ყველაფერი შეიძლება იყოს.

თანამედროვე შეფასებებით კონსერვატიზმს, მემარჯვენე მოძრაობას, ლიბერალიზმს, პრაგმატიზმს, ნაციონალიზმს, სოციალიზმს, კომუნიზმს, ფაშიზმს და ა.შ. - აქვთ თავიანთი იდეოლოგიური საფუძვლები. დღევანდელ საქართველოში არსებული პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები ამ თვალსაზრისებს იზიარებენ და თავიანთ პროგრამებს აფუძნებენ, თუმცა, ხშირად ქართული პოლიტიკური რეალობა იმდენად აისახება ამ პროგრამებსა თუ პარტიულ განცხადებებში, რომ ისინი კარგავენ, იცვლიან ევროპულ ქვეყნებში მიღებულ შინაარსს და ახალი ფორმატით გვევლინებიან. ამ თავისებურებათა გააზრება, არსებული პარტიების პოლიტიკური პროგრამების გაცნობა-შესწავლა აუცილებელია თუნდაც საარჩევნო პროცესში მონაწილეობისას სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

საინტერესოა ქართული პარტიების დაარსებისა და საუკუნის მანძილზე მათი მოდერნიზაციის პროცესიც. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ახალი ძალით გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეეჯახა, ერთი მხრივ, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დამპყრობლურ იდეოლოგიას, რაც ემყარებოდა შოვინიზმს, ნაციზმს ("ინოზემცები", "ინოროდცები"), მეორე მხრივ, საერთაშორისო-რევოლუციური მოძრაობის დიდ ტალღას, რომლის საფუძველი იყო მარქსიზმის იდეოლოგიიდან წამოსული ინტერნაციონალიზმ-კოსმოპოლიტიზმი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული იდეოლოგია დაუპირისპირდა მათ, შეიქმნა თეორიული საფუძვლები, სადაც ზოგჯერ რამდენიმე იდეოლოგიური მიმართულების შერწყმა ხდებოდა. სოციალისტურ-მარქსისტული, დემოკრატიული, ლიბერალური, კონსერვატორული, მონარქისტული თუ სხვა იდეები და იდეოლოგიები, ხშირად, ნაციონალიზმის სამსახურში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის რიგებში დგებოდნენ, იღებდნენ მონაწილეობას სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი შემდგომი აღორძინებისათვის დაწყებულ ბრძოლაში.

XX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური საფუძვლები მართლაც საინტერესო, ჯერ შეუსწავლელი საკითხია. მისი მონოგრაფიული განხილვისათვის აუცილებელია XX საუკუნის დასაწყისიდან თანამედროვე პერიოდამდე მსოფლიოში ჩამოყალიბებული და მოქმედი იდეოლოგიური მიმართულებების ანალიზი, მათი გავლენა ქართველ მოღვაწეთა აზროვნებაზე, იმ თავისებურებების გამოვლენა, რასაც ქართული სინამდვილე კარნახობდა ამა თუ იმ იდეოლოგიის მსახურს. ქართველი მოღვაწეები თარგმნიდნენ მსოფლიო თეორეტიკოსთა ნააზრევს, სხვადასხვა იდეოლოგიურ ლიტერატურას, თავადაც ქმნიდნენ თეორიულ ნაშრომებს, ქართულ პრესაში იბეწდებოდა პუბლიკაციები, სადაც შეფასებული იყო ეს ლიტერატურა, აღნიშნული იყო მათი შესაბამისობა ქართულ სინამდვილესთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული პრესის - "ცნობის ფურცლის", "ისარის", "ამირანის", "შრომის", "დროების" "სახალხო აზრის", "სახალხო საქმის", "საქართველოს", "ერთობის", ჟურნალ "კლდის" პუბლიცისტების - მიხაკო წერეთლის, გიორგი გვაზავას, სპირიდონ კედიას, კიტა აბაშიძის, ლელი ჯაფარიძის, ვასილ წერეთლის, ივანე გომართელის, ნოე ჟორდანიას, აკაკი პაპავას, ქრისტეფორე რაწველიშვილის, არჩილ ჯაჯანაშვილის, გერონტი ქიქოძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ალექსანდრე ასათიანის, სამსონ დადიანის, შალვა ნუცუბიძის, რაფიელ ინგილოს, ზაქარია ედილისა და სხვათა პუბლიკაციები. მათში საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრიობის საფუძვლები, სხვადასხვა პარტიათა იდეოლოგიური მიმართულებები, მათი პროგრამები და ქართული საზოგადოების წინსვლისათვის აუცილებელი რეალური დოქტრინების გამოყენების ფორმებია მოცემული.

XX საუკუნის დასაწყისის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი ლიდერები, ძირითადად ილია ჭავჭავაძის სკოლის წარმომადგენლები, ილიას გზის მიმდევრები იყვნენ. ისინი არამარტო ქადაგებდნენ ლიბერალურ-დემოკრატიული პროცესების განვითარებას, არამედ ნერგავდნენ კიდეც ამ პროცესებს, გამოხატავდნენ თავისუფალ აზრს, აარსებდნენ ლიბერალურ-დემოკრატიულ ინსტიტუტებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში იდგნენ და ილიას მიმდევრები იყვნენ სოციალისტური იდეოლოგიის ერთგული ქართველი პოლიტიკოსებიც, რაც ქართულ ნაციონალიზმს სრულიად განსხვავებულ სახეს აძლევდა. ილი ჭავჭავაძეც ცდილობდა სოციალისტების ჩაყენებას ეროვნული იდეოლოგიის სამსახურში, რის გამოც მიიწვია "ივერიაში" სამუშაოდ გიორგი ლასხიშვილი და გიორგი ზდანოვიჩი. თავად ილია პრინციპულად არ იზიარებდა ამ იდეოლოგიას, მაგრამ ქართველი ხალხის მომავლისათვის ბრძოლა და ამ

ბრძოლაში გამარჯვება ერთი რომელიმე ჯგუფის, ან იდეოლოგიური მიმართულების საქმე რომ არ იყო, ეს კარგად უწყოდა. ის ბუნებით ლიბერალი იყო და ამ იდეოლოგიით განსაზღვრულ ფასეულობებს ერთგულებდა.

ლიბერალიზმი, როგორც ტერმინი, ევროპაში XIV საუკუნიდან იხმარება. ლათინური სიტყვა - ლიბერა თავისუფალ ადამიანთა კლასს აღნიშნავდა, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ სხვისი ყმები. მას ხმარობდნენ სიუხვის აღსანიშნავად, სოციალურ მიმართებაში კი სიწრფელესა და მიუკერძოებლობასაც გულისხმობდა. პოლიტიკური მნიშვნელობით იგი XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში გამოიყენეს, კერძოდ, 1812 წელს, ესპანეთში. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ევროპაში უკვე ფართოდ გამოიყენება ეს ტერმინი და უკავშირდება პოლიტიკურ იდეებს. პირველ ლიბერალურ მთავრობად ევროპაში მიაჩნდათ გლადსტონის მთავრობა ინგლისში. ლიბერალური იდეების წარმოშობას ევროპაში ფეოდალიზმის რღვევისა და ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების შედეგად თვლიდნენ. საქართველოში ასეთი იდეები რეფორმისშემდგომ პერიოდში გახდა აქტუალური, თუმცა ლიბერალური დაწესებულებების შექმნა, მიუხედავად ფეოდალურ ურთიერთობათა არსებობისა და კოლონიურ რეჟიმში ცხოვრებისა, საქართველოში უფრო ადრეც დაიწყო. XIX საუკუნეს ზოგადად თვლიან ლიბერალურ საუკუნედ. ამ იდეოლოგიამ ბუნებრივად მოახდინა გავლენა ქართულ მოწინავე საზოგადოებაზე: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ბესარიონ ღოღობერიძე, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები ლიბერალური აზროვნებით გამოირჩეოდნენ. ლიბერალიზმი უპირისპირდებოდა კონსერვატიზმს, შემოჰქონდა ადამიანის უზენაესობის განცდა, პიროვნული პასუხისმგებლობა, მთავარ ფასეულობად თვლიდა ღია, თავისუფალი აზრის დამკვიდრებას. გავიხსენოთ ძველი თაობის დაპირისპირება ილიასა და მის თაობასთან. "მამები" ლიბერალობას და პატრიოტიზმს ნაკლად უთვლიდნენ "შვილებს", რადგან თავისუფალი აზრი და ძველი ეროვნული ინსტიტუციების კრიტიკა მათთვის უმეცრებად, ბოროტებად და ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებად აღიქმებოდა. ლიბერალური აზროვნება გააღვივა ნაროდნიკულ-ხალხოსნურმა მოძრაობამაც. ხალხოსანთა ნააზრევში, ასევე XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი მოაზროვნეების ტექსტებში ბევრია ლიბერალიზმი. კაპიტალიზმის განვითარებამ, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების დასავლურ ყაიდაზე მოწყობამ, ამ პერიოდში ქართული ლიბერალური აზროვნება გააქტიურა. თუმცა, დასავლელი მეცნიერების აზრით, სოციალიზმის და ნაციონალიზმის არსებობის პირობებში დასავლური ლიბერალიზმი იკვეცება, საქართველოში არცერთ ამათგანს არ შეუფერხებია ლიბერალური აზროვნების წინსვლა, მას მხოლოდ რუსული იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკა ჰკვეცდა, ამ პოლიტიკისაგან კი ნაციონალიზმი და სოციალიზმიც ისევე იდევნებოდა, როგორც ლიბერალური შეხედულებები.

საქართველოში ლიბერალური აზროვნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ამ იდეოლოგიის როლის შესახებ სათანადო საისტორიო წყაროები და ლიტერატურა არსებობს. უპირველესად, ესაა ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული პრესა და მასში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. XX საუკუნის ამგვარი პრესის ორგანოებიდან შეიძლება დავასახელოთ: "ცნობის ფურცელი" (1896-1906 წწ.), "შრომა" (1906-07 წწ.), "ამირანი" (1907), "ისარი" (1908), "დროება" (1909-1910), "სახალხო აზრი" (1911-1912), ჟურნალი "კლდე" (1912-1915 წწ.), გაზეთები: "ერთობა" (1915-1921 წწ.), "საქართველო" (1915-1921 წწ.), "სახალხო საქმე" (1913-1921 წწ.) და ა.შ.

პოლიტიკური ლიბერალიზმის, ლიბერალური ეკონომიკისა და პრესის შესახებ საუკეთესო მასალას გვაწვდის ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები და მხატვრული შემოქმედება. აქედან შეიძლება გამოვყოთ: "სიტყვა, თქმული სათავადაზნაურო კრებაში ბანკის მნიშვნელობის გამო", თხზ. ტ. VI, გვ. 13, 1997; "ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულებები ბანკზე", თხზ. ტ. VI, გვ. 23; "კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამო", თხზ. ტ. VI, გვ. 41; "ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის საქმე", იქვე, გვ.49; "ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი", იქვე, გვ.102; "სოფლის მოხელეთა არჩევანი", თხზ. ტ. VII, გვ. 114; გაზეთ "ივერიის შინაური მიმოხილვები"; "ლიბერალთა და კონსერვატორთა დასები ინგლისში", "ივერია" 1888, #86; "სახელმწიფო, სათვადაზნაურო და საგლეხო ბანკების უმთავრესი საფუძველნი", თხზ. ტ. X, გვ. 440; "ევროპის პოლიტიკა ახალი წლისათვის", იქვე, გვ. 444 და ა.შ. ; [11] ნიკო ნიკოლაძის თხზულებანი, I-VIII ტ. - ასევე საინტერესოა ლიბერალური აზროვნების თვალსაზრისით როგორც ეკონომიკის, ასევე პოლიტიკისა და თავისუფალი სიტყვის შესახებ. [12] ; სერგეი მესხის თხზულებანი 3 ტომად [13] ; არჩილ ჯორჯაძე, თხზ. ტ. I, 1911წ. [14] ; კიტა აბაშიძე, "ჯვარს აცვ ეგე"; [15] გიორგი ლასხიშვილის "მემუარები;" [16] დავით კაკაბაძის მონოგრაფია "გიორგი მაიაშვილი"; [17] ალექსანდრე ასათიანის "ძველი და ახალი მემკვიდრეობა;" [18] ვაჟა-ფშაველა, თხზ. 10 ტომად, წერილები ტ. V-VI; [19] სარგის კაკაბაძის "საქართველოს მოკლე ისტორია;" [20] ალექსანდრე ცაგარელის საქართველოს უცილობელი უფლებები" (რუსულ ენაზე); [21] ნოე ჟორდანიას "ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი; [22] რევაზ გაბაშვილის წერილები ჟურნალ "კლდეში", გაზეთ "საქართველოში", ასევე - ემიგრაციაში დაწერილი მოგონებების წიგნი "რაც მახსოვს;" [23] უშანგი სიდამონიძის "საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია"; [24] აკაკი სურგულაძის [25] , ალექსანდრე ბენდიანიშვილის [26] , გრიგოლ მარგიანის [27] , ნანული პაპავას [28] და სხვათა ნაშრომები.

ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები ყოველი სახელმწიფოსთვის ძვირფასია და მასზე პრეტენზიას დღევანდელი ქართული სახელმწიფოც აცხადებს (მაგ.: სულ ახლახანს, 2007 წლის 10 ნოემბერს, ბიზნესმენებთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ჩვენ ლიბერალ-დემოკრატები ვართ!).

საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის 70- წლიანი ისტორიის მანძილზე ძალზე გაუჭირდა ამ იდეოლოგიას, ის არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა პოლიტიკის მიმართ, რაც შეეხება ქართული ლიტერატურასა და ხელოვნებსა, აქ ეს იდეოლოგია არათუ დაითრგუნა, არამედ მხატვრული ხორცშესხმა ჰპოვა და საზოგადოების განვითარების ახალი ტენდენციები წარმოქმნა.

XXI საუკუნეს გარკვეული გამოწვევები აქვს ლიბერალიზმის მიმართ. ეს იდეოლოგია, გარკვეული გაგებით, ნდობის კრიზისს განიცდის. ამ გამოწვევას სხვადასხვა წყარო აქვს, მაგრამ სოციალიზმის მარცხის შემდეგ აშკარა ხდება, რომ ძნელია ლიბერალური ღირებულებებისა და იდენტობის ძიება ინდივიდის აბსტრაქტულ ცნებაში, რადგან "კონკრეტული" უფრო დამაჯერებელი ხდება, ვიდრე "უნივერსალური". მაიკლ სანდელი (1982) და ალისდერ მაკინტაიარი (1981) თავიანთ შრომებში აკრიტიკებენ ამ იდეოლოგიას, მას ზედაპირულს უწოდებენ.

ლიბერალიზმს აკრიტიკებენ ფემინისტებიც, მიიჩნევენ, რომ ის ქალთა როლის წამოწევას არ ეხმარება, რადგან ვერ აცნობიერებს სქესის განსხვავებულობას და მისეულ, პიროვნულობის კონცეფციაში მამაკაცთა მახასიათებლები ჭარბობს. [2-75]

ლიბერალიზმს XX საუკუნის ბოლოსა და XXI-ის დასაწყისში სხვადასხვაგვარად აფასებენ არბლასტერი (ოქსფორდი, 1984), რომელიც გამოკვეთს ლიბერალურ დოქტრინათა ინდივიდუალისტურ ბუნებას, ბელამი (კემბრიჯი, 1992), რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადაპტაციებზე, რაც აუცილებელია ახალი სოციალური რეალობებისადმი ლიბერალური ღირებულებების მისასადაგებლად, გრეი (კემბრიჯი, 2000), რომელიც წარმოაჩენს მის უნივერსალურ და პლურალისტურ ფორმებს შორის დაპირისპირებას. ჰოლდენისა და რამსეის ნაშრომებში ლიბერალიზმი გააზრებულია როგორც კრიტიკულად, ასევე მისი დადებითი მხარეებით. ამ ლიტერატურის გაცნობა დაჭირდება მას, ვინც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ საფუძვლებს შეისწავლის XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც ეს მოძრაობაც განსაკუთრებული აღმავლობით განვითარდა და ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნებაც ნელ-ნელა განთავისუფლდა ტოტალიტარიზმის ტყვეობიდან, ცნობილი "პერესტროიკის" შემდეგ, 9 აპრილის, საბჭოთა კავშირის დაშლის და რუსულ-ქართული ურთიერთობების გამწვავების ფონზე, 90-იანი წლებიდან XXI საუკუნის პირველ ათწლეულში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ საფუძვლებში XIX საუკუნეში დიდი ადგილი ეჭირა მონარქიზმს და ეს გასაგებიცაა. XX საუკუნეში მონარქისტული იდეა თუმცა ნაკლებად აქტუალური იყო, მაგრამ მან მანიც იჩინა თავი. ეს იყო ეროვნულ-დემოკრატთა მიერ წამოყენებული და გაცოცხლებული იდეა, რაც გერმანიის დახმარებით, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას დაუკავშირდა XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში, რაც გერმანიის პრინცის ქართველი თავადის ქალზე დაქორწინებით უნდა განხორციელებულიყო. ამ იდეამ მაშინ ხორცშესხმა ვერ ჰპოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, მონარქისტული იდეოლოგია მაინც აქტუალურია, რადგან სულ ახლახან მან მაინც ჰპოვა რეანიმაცია და ახალი ცხოველმყოფელობით წამოიჭრა საზოგადოების წინაშე, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გარანტი.

XX-XXI საუკუნეებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ საფუძვლებს შორის უნდა განვიხილოთ კონსერვატიზმი, არსებული ტრადიციებისა და ფასეულობების შენარჩუნებისადმი სწრაფვა. მართალია, ტრადიციონალისტების პარტია XX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა, XXI საუკუნეში კი ცალკე კონსერვატორული პარტიაც დაარსდა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ტრადიციების შენარჩუნების, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისაკენ მოწოდება XX საუკუნის დასაწყისიდანვე (თუ უფრო ადრიდან არა) ხდებოდა.

კონსერვატიზმი, ჯანსაღი გაგებით, არ ეწინააღმდეგება ცვლილებებს, პირიქით, ცდილობს ზომიერად მიიღოს სიახლეები, მაგრამ შეინარჩუნოს ძველი ტრადიციული მონაპოვრები. როდესაც კონსერვატიზმს იხილავენ უცხოელი ავტორები, მასში, როგორც იდეოლოგიაში, ხუთ იდეას გამოჰყოფენ: ტრადიციას, ადამიანის არასრულყოფილებას, ორგანულ საზოგადოებას, იერარქიას და ძალაუფლებას, საკუთრებას. ჩვენში, XX საუკუნეში, საუბარი შეიძლება ტრადიციაზე, რადგან ქართველ მოაზროვნეთა ნაწერებში მასზე დიდი ყურადღებაა გადატანილი, ასევე საკუთრებაზე, რაც ეროვნულ-დემოკრატთა ნაწერებში მიჩნეულია საზოგადოების სტაბილურობის, მისი განვითარების მთავარ საშუალებად. კოლონიალიზმისა და ტოტალიტარიზმის პირობებში დანარჩენი სამი ნიშანი გაუფერულებული იყო, თუმცა, საუკუნის ბოლოს ტრადიციულ-კონსერვატიული თვალსაზრისი კვლავ გააქტიურდა და ბოლოს პარტიის სახითაც ჩამოყალიბდა.

თანამედროვე მკვლევრები გამოყოფენ ავტორიტარულ კონსერვატიზმს, რომელიც ზემოდან მართვის რწმენას ეყრდნობა, საზოგადოებაში სოციალური მორჩილების აუცილებლობას ქადაგებს, რაც, თითქოს, იწვევს წესრიგს და განაპირობებს მიღწევებს. ასეთი იდეოლოგიური ფონი განსაკუთრებით აქტიურია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მისი ნიშნები, შესაძლოა, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ერთ ნაწილშიც იყოს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ კონსერვატიულ ავტორიტარიზმს უცხოელი მეცნიერები არ ურევენ ტოტალიტარიზმში. ისინი გამოყოფენ

პატერნალისტურ კონსერვატიზმსაც, რომელიც ეყრდნობა ორ ძირითად ტრადიციას: ერთი არის კონსერვატიზმი და მეორე ქრისტიანული დემოკრატია. პატერნალიზმი სიტყვა-სიტყვით მამათა ყაიდაზე მოქმედებას ნიშნავს. პატერნალიზმი იგება იმ პრინციპზე, რომ სიბრძნე და გამოცდილება საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული, ამიტომ ხელისუფლებამ უნდა უწყოდეს რა ჭირდება ამ ქვეყანას.

ერთი ერის ტრადიციას კონსერვატიზმში გამოხატავდა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ხელისუფლების მიერ და ამისათვის ტრადიციული ინსტიტუტების გამოყენება. მაგალითად: ინგლისში - მონარქიის, ლორდთა პალატისა და ეკლესიის. კონსერვატიულ პარტიას, ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად, მათი ხმები უნდა მოეპოვებინა. ამ იდეოლოგიაში გამოყოფენ დიზრაელის სოციალურ რეფორმას და ტორიზმს ინგლისში. კონსერვატიულ იდეოლოგიას საქართველოში გამოხატავს ქრისტიანულ-დემოკრატიული აზროვნებაც. იმ პირობებში, როდესაც ქართველთა ეთნიკური იდენტობა ქრისტიანობასთან ასოცირდებოდა, ამავე დროს, კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო განიცდიდა მრავალ კულტურასთან თუ რელიგიასთან შეხებას, უშუალო კონტაქტში ხვდებოდა მათთან, - ჩამოყალიბდა დემოკრატიასთან ახლოს მდგომი შემწყნარებლობა - ტოლერანტიზმი, რაც ეროვნული ხასიათის ნიშნად იქცა. XX საუკუნის დასაწყისში აქტიური გახდა საკითხი - საქართველოს ავტონომიისა, რაც ეროვნულ-ტერიტორიულ ფარგლებში უნდა მომხდარიყო. ქართველ მოაზროვნეთა წინაშე დადგა ამოცანა: ორი იმპერიის - რუსეთისა და თურქეთისაგან გამოხსნილ ტერიტორიებზე მომხდარიყო როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ასევე მაჰმადიან ქართველთა მიღება ეროვნულ სახელმწიფოში, თავისი ახლანდელი რელიგიით. მათი აზრით, გენეტიკური ჰომოგენურობა საქართველოს საზღვრებში რელიგიურ სხვადასხვაობას ადვილად გადალახავდა. მითუმეტეს, ქრისტიანულ საქართველოში, წარსულში დიდი იყო გამოცდილება სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანთა ბუნებრივად ჩართვისა ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ავტოკეფალური მოძრაობა არ დაპირისპირებია არც სხვა რელიგიებს, არც დემოკრატიულ პრინციპებს, მითუმეტეს, 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოში ქრისტიანულ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ აშკარად გაიმარჯვა. ამას მოწმობს ქართულ დემოკრატიულ პრესაში გამოქვეყნებული რელიგიური თემატიკის მქონე პუბლიკაციები - კალისტრატე ცინცაძის, კორნელი კეკელიძის, მღვდელ აბესაძის და სხვების.

არსებობს ლიბერალური კონსერვატიზმი. ლიბერალიზმი მოიცავს თეორიებს, რომლებიც ისეთ ღირებულებებთან შედარებით, როგორიცაა ძალაუფლება, ტრადიცია და თანასწორობა, მტკიცე პრიორიტეტს თავისუფლებას ანიჭებს. ლიბერტარელები ისწრაფვიან მაქსიმალურად გააფართოვონ ინდივიდის თავისუფლების არეალი და მინიმუმამდე დაიყვანონ საზოგადოებრივი ძალაუფლების საზღვრები. სახელმწიფოს ისინი თავისუფლების ძირითად საფრთხედ თვლიან, რითაც ემსგავსებიან ანარქისტებს, და მაინც, ისინი განსხვავდებიან ანარქისტებისაგან იმით, რომ ლიბერტარელები ზოგადად აღიარებენ მინიმალური ან გუშაგის ფუნქციის შემსრულებელი სახელმწიფოს საჭიროებას, ზოგჯერ კი თავს მონარქისტებადაც წარმოაჩენენ. მართალია, ქართველი ანარქისტები - ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, შალვა და კომანდო გოგელიები მიუღებლად თვლიდნენ სახელმწიფოს, როგორც ძალაუფლების უხეშ სისტემას, მაგრამ სახელმწიფოს სრულ გაუქმებამდე ზოგი მათგანი საჭიროდ მიიჩნევდა სახელმწიფოს რაღაც ფორმით არსებობას, რითაც ლიბერტალური კონსერვატიზმის იდეოლოგიას გამოხატავდნენ.

კონსერვატიულ იდეოლოგიას მიეკუთვნებიან ახალი მემარჯვენეებიც. ისინი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკითხებში იზიარებენ ქართული მემარჯვენე ძალების - ძველი ეროვნულ-დემოკრატების შეხედულებებს: ეკონომიკურ ლიბერალიზმს, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. ამ მიმართულებას ნეოლიბერალიზმსაც უწოდებენ. მას ახასიათებს ასევე ტრადიციული კონსერვატული სოციალური თეორია, წესრიგის, ძალაუფლებისა და დისციპლინის დაცვა. ამდენად, რევოლუციური გადატრიალებები და რადიკალური ღონისძიებანი მისთვის მიუღებელია. საქართველოში ამჟამად მოქმედი ახალი მემარჯვენეების პარტია სწორედ ამ პრინციპებს ეფუძნება. თუმცა, ამთავითვე შეინიშნება ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივი მოძრაობის სხვადსხვა ჯგუფებში საყოველთაოდ მიღებული იდეოლოგიური ნორმებისაგან გადახვევა, ეროვნულ რეალობასთან შეფარდებული იდეოლოგიური აზროვნება. ახალი მემარჯვენეების ეკონომიკურ პროგრამას კარგად გადმოსცემს ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის შრომები, სადაც ეკონომიკის ლიბერალიზაციასა და თავისუფალი ბაზრის შესახებაა საუბარი. ჰაიეკის ერთი ნაშრომი თარგმნილია ქართულადაც, ესაა: "საბედისწერო თავდაჯერებულობა, სოციალიზმის შეცდომები" (გამომცემლობა "ვეფხისტყაოსანი", 2000), სადაც ინდივიდუალიზმის მომხრე ნობელიანტი ავტორი სოციალიზმის უმკაცრეს კრიტიკოსად გვევლინება. სხვა მისი ნაშრომები, რომლებიც რუსულ და ინგლისურ ენებზეა: "ყმობის გზა" (1984), "თავისუფლების კონსტიტუცია" (1960), "კანონი, კანონმდებლობა და თავისუფლება" (1979) - წარმოადგენდა ევროპაში XX საუკუნის ბოლოს დამკვიდრებული ახალი მემარჯვენეობის თეორიულ ბაზისს.

ახალ მემარჯვენე თეორიებსა და იდეოლოგიაზე დიდი გავლენა ჰქონდა ამერიკელი მეცნიერისა და პოლიტიკური ფილოსოფოსის - რობერტ ნოზიკის (1938-2002) შრომებს. მისი შეხედულებების მთავარი იდეა იყო საკუთრების უფლების მკაცრი დაცვა სახელმწიფოსაგან, თუ ეს საკუთრება სამართლიანადაა შეძენილი. ის ითხოვდა მთავრობისაგან მესაკუთრეთა მხარდაჭერას და მინიმალურ დაბეგვრას. ნოზიკის მთავარი ნაშრომია: "ანარქია, სახელმწიფო და უტოპია". ეს იყო უკიდურესი ლიბერტალიზმის თეორია, რაც შემდეგში შეარბილა

ნოზიკმა. ქართველი ახალი მემარჯვენეებიც ითხოვენ საკუთრების უფლების მკაცრ დაცვას, გმობენ სახელმწიფოს ძალადობას მესაკუთრეების მიმართ, თუმცა ლიბერალები არიან ამ საკუთრების წარმომავლობის შესწავლის საკითხში. ესეც ქართული რეალობის ასახვაა, ვინაიდან კერძო საკუთრების დიდი ნაწილი და ბიზნესი ჩვენში ხშირადაა საეჭვო წარმომავლობის. გასარკვევია ერთი რამ: ქართული ახალი მემარჯვენეობა უფრო ლიბერალურია თუ კონსერვატიული. კონსერვატიული ახალი მემარჯვენეობა ევროპაში სამ საკვანძო საკითხს სვამს: 1. კანონი და წესრიგი; 2. საზოგადოების ზნეობრიობა; 3. ეროვნული იდენტობა. რამდენადაა აქტუალური ეს პრობლემები ქართველი მემარჯვენეებისათვის, ეს დასაზუსტებელია. და საერთოდ, ჩვენი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პროგრამები საზოგადოებამ უკეთ უნდა იცოდეს, რათა არჩევანის დროს გაითვალისწინოს - რამდენად შეუძლიათ, გამარჯვების შემთხვევაში, ამ პარტიებს საზოგადოებრივი დაკვეთის განხორციელება.

ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის მოწინააღმდეგედ ერთნაირად მიიჩნევენ ნაციონალიზმსა და სოციალიზმს, განსაკუთრებით ამერიკელი მეცნიერები, მათ შორის, ჰეივუდის დასახელებული ნაშრომი და მის მიერ დამოწმებული სხვა ამერიკელი ავტორები. [2] ამ ფონზე საქართველოს ისტორია XX საუკუნეში სხვა რეალობას გვთავაზობს: ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი (და მთავარიც) იდეოლოგიური საყრდენი იყო სოციალიზმი. თემის დასაწყისში ჩვენ ზოგადად ვსაუბრობდით იდეოლოგიის არაპოპულარულობაზე, მითუმეტეს, როდესაც ერთმანეთს ერწყმის პოლარული შინაარსობრივი დატვირთვის მქონე იდეოლოგიები: სოციალიზმი და ნაციონალიზმი. ეროვნული მოძრაობის ლიდერები XX საუკუნის დასაწყისში გაერთიანდნენ 1904 წელს შექმნილ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში. ისინი ქართველი ხალხის მომავალს სოციალისტური იდეების გამარჯვებას უკავშირებდნენ, რაც უნდა გამოხატულიყო სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობით, ეს კი პოლიტიკური სიძლიერის, დამოუკიდებლობის, დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველი იქნებოდა. ამ ორი მიმართულების (ნაციონალიზმ-სოციალიზმისას) შეუთავსებლობას ამტკიცებდა პარტიაში შემავალი ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, რომლებიც შემდეგში გაემიჯნენ ამ პარტიას და მის ორგანოს, ჯერ საკუთარი ჟურნალი - "კლდე" შექმნეს, შემდეგ კი აღადგინეს 1903 წელს პარიზში დაარსებული და მალევე შეწყვეტილი გაზეთი "საქართველო" (1915-1921 წწ.). 1917 წელს ამ ჯგუფმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დააარსა, რომელიც მთლიანად უპირისპირდებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას. მიუხედავად ამისა, ქართული ინტელიგენციის ერთი მნიშვნელოვანი და მოწინავე ნაწილი სოციალიზმს მიიჩნევდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განმტკიცების მთავარ საშუალებად და მასში ხედავდა ერის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გზას. ესენი იყვნენ: გიორგი ლასხიშვილი, გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ნუცუბიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი და სხვები. ეს ადამიანები იდეურად ეკამათებოდნენ არა მარტო ეროვნულ-დემოკრატიულ პრესას და ამ იდეოლოგიის ადამიანებს, არამედ სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევარ პარტიებს: მემარცხენეებს - მენშევიკებს და ულტრამემარცხენეებს - ბოლშევიკებს. ეს უკანასკნელნი უფრო რუსულ, ანუ "აზიურად გადახრილ" (კაუცკი) სოციალიზმს ერთგულებდნენ.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ პარტიას, სოციალისტური იდეოლოგიის გამო, ხშირად აკრიტიკებდნენ და დღესაც აკრიტიკებენ, თუმცა მაშინდელ ხელისუფლებას ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაზე ჰქონდა პრეტენზია. კითხვის ნიშანს ვერ იცილებს ის აზრი, შეიძლება თუ არა სოციალისტური ეროვნულთან შეთანხმდეს და ამ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა წარმატებული იყოს.

თუ ღრმად გავაანალიზებთ საქართველოს უახლეს ისტორიას, მივიღებთ სოციალიზმის ორ სრულიად განსხვავებულ ტიპს, ორი სრულიად საპირისპირო ისტორიული შედეგით. ერთია ბოლშევიკური, ანუ აზიური სოციალიზმი, მეორე - ევროპული ტიპის სოციალიზმი, რომელზეც დღესაც არ ამბობენ უარს ევროპის განვითარებული ქვეყნები.

თუკი ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ გამოცდილებას დავეყრდნობით და ევროპული სოციალიზმის პრინციპებს გავიზიარებთ, რაც დღესაც ცხოველმყოფელია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი და სხვა, ვერ გამოვრიცხავთ ასეთი სოციალიზმის დადებით როლს, განსაკუთრებით ეკონომიკის საკითხებში. მაგრამ, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში არსებობდა არა ევროპული, არამედ "აზიურად გადახრილი" სოციალიზმი და საქართველოც რუსულ სივრცეში არსებული სოციალიზმის ცოტაოდენ გაკეთილშობილებულ ფორმას აღიარებდა, მაშინ ცხადი გახდება, დადებითთან ერთად, მისი უარყოფითი როლიც ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. ამ საკითხის კვლევისას შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ისტორიოგრაფიული კორპუსი: გიორგი ლასხიშვილის, ვიქტორ ნოზაძის, ზურაბ ავალიშვილის, გიორგი გვაზავას, პავლე საყვარელიძის, პეტრე სურგულაძის, ლელი ჯაფარიძის, სამსონ ფირცხალავას, კიტა აბაშიძის, გიორგი ზდანოვიჩის ნაშრომები და პუბლიცისტურ ქართულ პრესაში, ასევე: დიმიტრი შველიძის გამოკვლევა - "ფედერალისტები" (გამომცემლობა "არსი", თბ. 1993), შოთა ვადაჭკორიას ნაშრომებს - "პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა" (თბ.,1998), "ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში" (გამომც. "მეცნიერება", თბ., 2001), ალექსანდრე ბენდიანიშვილის -

"საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ქართული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები" (თB.2006), ნესტან კირთაძის და დიმიტრი შველიძის ნაშრომი - "ეროვნული იდეოლოგიის ორიენტირები" (თბ., 2000), დოდო ჭუმბურიძის - "სახელმწიფო იდეოლოგია და პოლიტიკა 1918-21 წლებში" (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), გელა საითიძის - "რუსეთის სახელმწიფო საბჭო", ასევე, - უცხოური ლიტერატურა: კაუცკის, ანრი ბარბიუსის, რემონ დიუგეს, სტოკის და სხვათა ნაწერები.

XX საუკუნის საქართველოში სოციალიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთგავლენა და პოლიტიკური პარტიების მიმართება ამ ორი, ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიისადმი საინტერესოცაა და მკვლევარისათვის ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებასაც იძლევა. სოციალიზმის იდეოლოგიას, როგორც პოლიტიკურ მრწამსს, აქვს მრავალგვაროვანი ღირებულებები და თეორიები. ესაა: საზოგადოების თანამშრომლობის, თანასწორობის, სოციალური კლასების და საზოგადოებრივი საკუთრების საკითხები. სოციალიზმს ახასიათებს კოლექტივისტური ხედვა, რითაც ადამიანები ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი, როგორც სოციალური არსებები, მათ შეუძლიათ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ერთად დაძლიონ, გამორიცხულია ეთნიკური და სახელმწიფოებრივი საზღვრები, სოციალისტთა აზრით, ადამიანი გარდაქმნადი არსებაა, ყველა ინდივიდი საზოგადოების ნაწილია. ეს ცნობიერება აისახებოდა XX საუკუნის 10-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში და პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზეც, რადგან სოციალისტური იდეოლოგია ამ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძველი იყო. სოციალისტური იდეოლოგიის ღრმა ფესვებს საქართველოში განაპირობებდა მოსახლეობის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც აღრმავებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკა და რუსული მმართველობის ანტიქართული სულისკვეთება.

საინტერესოა სოციალიზმის კავშირი ლეიბორისტულ მოძრაობასთან. უცხოელი თეორეტიკოსები სოციალიზმს ლეიბორისტული მოძრაობის მთავარ ინსტრუმენტად განიხილავენ. განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლეიბორისტული პარტიის კავშირი სოციალისტურ იდეოლოგიასთან, მითუმეტეს, დღეს - ჩვენში სოციალიზმის სრული კრახის ეტაპზე. საუკუნის დასაწყისში მუშათა კლასის ინტერესებს გამორჩეულად იცავდა ეს იდეოლოგია, საუკუნის ბოლოს ფორმირებული ლეიბორიზმი ასევე უნდა იცავდეს მუშათა ინტერესებს, თუმცა, მუშათა ბედზე მეტად, ეს პარტია, ზოგადად მშრომელთა სოციალური ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. მხარდამჭერების შეძენას ეს მოძრაობა სოციალური საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით ახერხებს. ალბათ, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის უკეთ გააზრების საშუალებას მოგვცემს კლასიკური და რუსული ფორმით არსებული მარქსიზმის, ლენინიზმის, სტალინიზმის შესწავლა, სოციალური დემოკრატიის კრიზისის, XXI საუკუნის ნეოსოციალიზმის საკითხების დაკავშირება საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესთან. სოციალიზმის იდეის რეანიმაციის მცდელობა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში დღესაც შეინიშნება.

ვიდრე ქართული სინამდვილისა და პოლიტიკური აზროვნების მთავარ იდეოლოგიურ საფუძველს - ნაციონალიზმს შევეხებოდე, რამდენიმე სიტყვას ვიტყვი XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ მხარდაჭერილ და პოპულარულ იდეოლოგიაზე - ესაა ანარქიზმი. სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ამ იდეოლოგიას მიემხრნენ ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ედგნენ სათავეში, ეროვნული თვითგადარჩენისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად იბრძოდნენ. ასეთი გამორჩეული პოლიტიკოსი იყო მიხაკო წერეთელი. მასთან ერთად, ანარქისტულ პარტიაში შედიოდნენ: ვარლამ ჩერქეზიშვილი, შალვა და კომანდო გოგელიები და სხვები. ანარქისტულმა ორგანიზაციამ ჩამოყალიბება დაიწყო 1895 წლიდან, გაძლიერდა I რევოლუციის წლებში, I მსოფლიო ომის დროს შესუსტდა, რადგან მისი ქართველი მონაწილეები ამდროს საზღვარგარეთ მოღვაწეობდნენ, 1917 წლიდან კი ანარქიზმი აღარ წარმოადგენდა რეალურ პოლიტიკურ ძალას. ქართველი ანარქისტები უკომპრომისოდ ებრძოდნენ მარქსიზმს, გმობდნენ ყოველგვარ ძალადობას, მათ შორის, მის გამოხატულებას სახელმწიფოს სახით. მათი აზრით, მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ პროგრესს. ისინი სამართლიანად ებრძოდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, რომლის უვარგისობა ისტორიის მსვლელობამ დაადასტურა. რაც შეეხება სახელმწიფოს მოსპობის ანარქისტულ თეორიას, იგი გარკვეულწილად განუხორციელებელ იდეას მიეკუთვნება, თუმცა ცენტრალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება, მმართველობის დეცენტრალიზაცია ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის იდეალი და ქვეყნის წარმატების საფუძველია. ქართველი ანარქისტების მიერ მარქსიზმის კრიტიკაც დრომ გაამართლა. ისინი იბრძოდნენ საქართველოს ავტონომიისათვის, უფრო შორსაც მიდიოდნენ: 10-იან წლებში ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, გამოდიოდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის ლოზუნგით და მათი რწმენით, მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ შეუძლია ერს იზრუნოს თავისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ქართველ ანარქისტთა შესახებ და ამ იდეოლოგიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირზე მასალები მოიპოვება ს. ხუნდაძის, პ. გუგუშვილის, პრ. რატიანის, ლ. გორგილაძის, გ. ჯანგველიძის, გ. მეგრელიშვილის, ნ. გვიანიშვილის და სხვათა გამოკვლევებში.

ანარქიზმს საფუძველი ჩაეყარა უილიამ გოდვინის (1756-1836) ნაწერებში. ის პრესვიტერიანული ეკლესიის მღვდელი იყო, მიატოვა ეკლესია და მწერალი გახდა, დაწერა "ჯალებ უილიამსი", სადაც ანარქისტული იდეოლოგია გადმოსცა, შექმნა ინტელექტუალთა წრე, რომელშიც შედიოდნენ მისი მეუღლე მერი

უოლსთოუნქრაფთი, ახალგაზრდა მწერლები - უორდსუორთი, მისი სიძე - შელი. ისინი აკრიტიკებდნენ ავტორიტარიზმს, ამტკიცებდნენ განათლების აუცილებლობას ადამიანისათვის, მიაჩნდათ, რომ თანადგომა ადამიანის ჭეშმარიტი, თანდაყოლილი თვისებაა. ანარქიზმი მოიცავდა უტოპიზმს, ეკონომიკური თავისუფლების იდეას, რაც პრუდონის შრომებშია ასახული, ინდივიდუალისტურ ანარქიზმს, ლიბერტარიზმს, ეგოიზმს, ანარქო-კაპიტალიზმის თეორიებს, რევოლუციური ძალადობის კრიტიკას. ქართველი ანარქისტები იცნობდნენ ევროპელთა ნაწერებს, მათ თეორიულ შეხედულებებს და იყენებდნენ საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვისას. ევროპელ და ამერიკელ ანარქისტთაგან განსხვავებით, ისინი, როგორც უკვე ვთქვით, დიდ ადგილს უთმობდნენ ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეას და საქართველოს მომავლისათვის ბრძოლას.

ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, ეროვნული იდეა, ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სააზროვნო სისტემის მთავარი დასაყრდენია. ქართული ეროვნული იდეოლოგია ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გამოიკვეთა, რომელიც, როგორც წესი, ზეეროვნულია (იოანე საბანისძეს "აბო ტფილელის წამება" და სხვა). ცნობიერების ეს ხაზი საუკუნეების მანძილზე მოიხილვებოდა და ეროვნული იდეოლოგია იყო ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების მთავარი ღერძი, პოლიტიკის მამოძრავებელი, ქართული სახელმწიფოებრიობის შემანარჩუნებელი და განმამტკიცებელი ძალა. პატარა და გეოპოლიტიკურად ურთულეს რეგიონში არსებული ქვეყანა ამ ძალას ეყრდნობოდა და მის გარეშე დაღუპვა ემუქრებოდა. ამიტომ, როდესაც ნაციონალიზმს სოციალიზმი და კოსმოპოლიტიზმი დაუპირისპირდა, ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი სამართლიანად შეაშფოთა ამ ფაქტმა. ეს დაპირისპირება კი არა, ომი იყო, სადაც ერთმანეთის პირისპირ ქართული ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ძალები და ის ქართველი სოციალისტ-კოსმოპოლიტები იდგნენ, რომელთა უკან იმპერიული ინტერესები იკითხებოდა. საეტაპო მნიშვნელობა აქვს ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის შესახებ ეროვნული ცნობიერების მქონე ისეთი მოღვაწეების შეხედულებებს, როგორებიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. ამ ადამიანთა ნააზრევს სხვადასხვა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა: ზოგი სოციალისტ-დემოკრატი იყო, ზოგი - სოციალისტ-ფედრალისტი, ზოგი - ეროვნულ-დემოკრატი, ზოგიც ანარქისტი და სხვა. მაგრამ ეროვნული იდეა ყველასათვის იყო მისაღები, უფრო მეტიც, საქართველოს არსებობის მთავარი ნიშანი.

ზუსტი დეფინიცია ნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის არ არსებობს, კიდეც რომ იყოს, ის საქართველოში მაინც არ ყოფილა მარტო იდეოლოგია და თეორია, ის იყო მოქმედებაც, ქვეყნის გადარჩენის იმპულსზე რომ გადიოდა. ამიტომ ირღვეოდა იდეოლოგიური კლიშეები და ხშირად ისეთი თეორეტიკოსები, რომლებიც წესით, არ უნდა ყოფილიყვნენ ეროვნული იდეის ერთგულნი, იცავდნენ და ერთგულებდნენ ამ იდეას. დღესაც უჭირს ქართველს იმ ამერიკული და ევროპული თეორიების გაზიარება, სადაც ეროვნული იდეა, ნაციონალიზმი, სამშობლოს სიყვარული არ განიხილება დადებით კონტექსტში. ამას გრძნობს, ალბათ, ენტონი დ. სმითის ნაშრომის - ნაციონალიზმი, თეორია, იდეოლოგია, ისტორია - ქართულ ენაზე მთარგმნელი, ჩვენი კოლეგა მარიამ ჩხარტიშვილი და წიგნის შესავალში წერს: "წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილი ყველა თვალსაზრისი, შესაძლოა, თანაბრად მისაღები არ აღმოჩნდეს ქართველი სპეციალისტებისათვის"-ო (გვ.6). აქ ბრიტანელი ავტორი ეროვნული სახელმწიფოების დასასრულს ქადაგებს, აკრიტიკებს ეროვნულ პატრიოტიზმს და მხარს უჭერს სახელმწიფო პატრიოტიზმს. მხარდამჭერნი ამგვარ თეორიას საქართველოშიც გამოუჩნდნენ. მაგალითად, წიგნში - "საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე" (გამომცემლობა "არეტე", 2005, გვ. 60-75) ლევან ბერძენიშვილი ამგვარ პატრიოტიზმს უჭერს მხარს და, ბუნებრივად, იმ ადამიანთა პატრიოტიზმს გამორიცხავს, რომლებიც XIX-XX ს.ს.-ში ცხოვრობდნენ, რადგან ამ დროს საქართველოს სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია.

მიუხედავად ენტონი დ. სმითის, ქართველი ლევან ბერძენიშვილის და მათი უამრავი თანამოაზრის შეხედულებისა, XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისს ნაციონალიზმის ეპოქად მიიჩნევენ, ეს იდეოლოგია ამ დროს მართლაც დიდ ზეგავლენას ახდენდა მსოფლიო ისტორიაზე, პოლიტიკურ რუქაზე, ერწყმოდა ლიბერალურ მოძრაობას, ანგრევდა ავტორიტარულ და მრავალეროვნულ იმპერიებს ან საფუძველს ურყევდა მათ. იქმნებოდა ახალი ეროვნული სახელმწიფოები, რაც მასიურად მოხდა I მსოფლიო ომის შემდეგ.

როდესაც XX საუკუნის დასაწყისის ნაციონალიზმზე საუბრობს, ჰეივუდი წერს იმაზე, რაც ასე ახლობელი იყო ამდროინდელი საქართველოსათვის: "ნაციონალიზმი გადაიქცა ჭეშმარიტ პოპულარულ მოძრაობად, - ნათქვამია მის შრომაში, - თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით: დროშებით, ეროვნული ჰიმნით, პატრიოტული პოეზიითა და ლიტერატურით, სახალხო ცერემონიებითა და დასვენების დღეებით. იგი მასობრივი პოლიტიკის ენად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ხალხში ზოგადი განათლების, წერა-კითხვის დონის ზრდამ და პოპულარული გაზეთების გავრცელებამ". მართალია, დროშა და ჰიმნი 1918 წლის 26 მაისამდე საქართველოს არ ჰქონდა, მაგრამ დანარჩენი, რაზეც ამ ტექსტშია ლაპარაკი, საქართველოში იყო სწორედ იმ პატრიოტთა თაოსნობით, რომლებიც ეროვნული იდეოლოგიის ყველაზე ერთგული დამცველები იყვნენ. კოლონიურ ქვეყანაში ეს ადამიანები ცდილობდნენ "არაფორმალური" სახელმწიფო დაწესებულებების შექმნას, ისეთისას, როგორიც იყო, მაგალითად, "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელსაც განათლების სამინისტროს

ფუნქცია ეკისრებოდა, სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებანი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ თეატრალურ, მუსიკალურ, სამხატვრო ცხოვრებას, წიგნებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პრესის გამოცემას და ა.შ.

პატრიოტული თემატიკა ქართული ლიტერატურის მთავარი და განმსაზღვრელი ნიშანი გახდა, ხოლო ქართული პრესა სავსეა ცნობებით სახალხო სეირნობების, სპეციალური თამაშობა-გართობის, საზეიმო ცერემონიების აღწერით, სადაც გროვდებოდა შეწირულობანი ქართველ სტუდენტთა, მწერალთა თუ მსახიობთა, ობოლ ბავშვთა დასახმარებლად, ერის სულიერი და მატერიალური ძალების დასახსნელად.

ენტონი დ. სმითის მსგავსად, ჰეივუდიც აკრიტიკებს პატარა ერების ნაციონალიზმს და წერს: "პატრიოტულ გრძნობებს იწვევდა არა პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიის პერსპექტივები, არამედ წარსული ეროვნული სიდიადისა და სამხედრო წარმატებების გახსენება. ასეთი ნაციონალიზმი უფრო მეტად შოვინისტური და ქსენოფობიური ხდებოდა. თითოეული ერი ამტკიცებდა, რომ უნიკალური და სხვებზე უკეთესი თვისებების მატარებელი იყო. სხვა ერები კი ითვლებოდა უცხოდ, არასაიმედოდ და საშიშადაც კი." ავტორი ამას "სახალხო ნაციონალიზმს" უწოდებს. თუ ამ თვალსაზრისიდან XX საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ წარსულის ეროვნულ სიდიადესაც იხსენებდა ქართული აზროვნება, სამხედრო სიძლიერესაც, მაგრამ არ დაუკარგავს სწრაფვა არც პოლიტიკური თავისუფლებისაკენ, არც დემოკრატიული ფასეულობების ერთგულებისაკენ, არც ქსენოფობია გასჩენია და ტოლერანტიზმის ჩვეული თვისებაც შეინარჩუნა. თუკი თავის უნიკალობას ამტკიცებდა, ქართველი პატრიოტისთვის ეს, უბრალოდ, იყო საშუალება, რათა ადამიანები გაემხნევებინა, გაეხსენებინა გარდასული დიადი ეპოქები და მომავლისთვის საბრძოლველად განეწყო. თვით ილია ჭავჭავაძემ დაუპირისპირა წარსულის გაიდეალებას მომავლისათვის ბრძოლა. ქართული ნაციონალიზმის შესასწავლად XXსაუკუნეში, უნდა გამოვიყენოთ გერონტი ქიქოძის "ეროვნული ენერგია," [29] ვახტანგ კოტეტიშვილის პუბლიცისტური წერილები 1917-1921 წლების "სახალხო საქმეში", [30] მისი "რჩეული ნაწერები," [31] სპირიდონ კედიას, [32] გიორგი გვაზავას, [33] ზურაბ ავალიშვილის, [34] ალექსანდრე ასათიანის, [35] შალვა ამირეჯიბის, [36] და სხვათა ნაშრომები. ასევე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემული კრებული - "ილია ემიგრანტთა თვალით" (გამ. "ლომისი", თბ., 1996). უცხოელი ავტორები - ალტერის 1989 წელს გამოცემული შრომა, სადაც ნაციონალიზმის მიმართ განსხვავებული მიდგომებისა და თანამედროვე ნაციონალისტური პოლიტიკის კონტრასტული ფორმების მკაფიო და საინტერესო მიმოხილვაა, ალტერის, [37] ბრაუნის, [38] სპენსერის [39] და სხვათა ნაშრომები ინგლისურ და რუსულ ენებზე, ასევე, უკვე დასახელებული, ქართულად თარგმნილი ენტონი დ. სმითის ნაშრომი. [40] ამ ნაშრომებში გამოთქმული თვალსაზრისებისა და თეორიების ფონზე, საინტერესო იქნება ქართული ნაციონალიზმის ყოველმხრივი შესწავლა-გაანალიზება, მისი განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთა.

როდესაც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიურ საფუძვლებზეა საუბარი, არ უნდა დაგვავიწყდეს კომუნიზმი და ფაშიზმი.

კომუნიზმის იდეას ბოლშევიკი იდეოლოგები პატარა ერების გადარჩენის, მისი საუკეთესო მომავლის გარანტად მიიჩნევდნენ. თუმცა კომუნიზმის იდეა კომუნისტური პარტიის პროგრამებსა და მანიფესტებში ჩარჩა და თეორიულ სფეროს ვერ გასცილდა, ამ იდეოლოგიამ ეროვნულ ცნობიერებასთან რეალური საერთო ვერ გამონახა, ის უფრო კოსმოპოლიტური, უტოპიური ცნობიერება იყო და ეროვნული ინტერესებისათვის, დიდი ზიანის გარდა, არაფერი მოუტანია.

რაც შეეხება ფაშიზმს, ის ორჯერ გაკრთა XX საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პირველად, 30-იანი წლების ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეოლოგიაში, რაც გამოიხატა ქართველი ემიგრანტების მიერ იტალიური ფაშიზმის აღიარებაში, ამ ტიპის იდეოლოგიის გამოყენებისაკენ სწრაფვაში, რათა ქართველ ხალხს მისი დახმარებით დაემარცხებინა საბჭოთა რუსეთის კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმი. ამ საკითხს ეხება შორენა მურუსიძე ნარკვევში, რომელიც ხელნაწერის სახით, წლიური საკვლევი თემის ფორმატით არის წარმოდგენილი. მეორედ, ფაშიზმის იდეოლოგია გაჩნდა XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში, როდესაც 1990 წლის ოქტომბერში აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელმწიფო პოლიტიკა შეაფასეს მისმა ოპონენტებმა და მას ასეთი განსაზღვრება მისცეს - პროვინციული ფაშიზმი. რამდენად შეესაბამებოდა პუტჩის, სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ადამიანების შეფასება სინამდვილეს, ეს საკამათოა. საკამათოა თვით ტერმინიც - პროვინციული ფაშიზმი, - ტოტალიტარული რეჟიმი რამდენად შეიძლება იყოს ამავდროულად პროვინციული, მაგრამ გაანალიზება და ამ ისტორიული პროცესის შეფასება, თუ გნებავთ, გადაფასება, კრიტიკა ამგვარი განსაზღვრებისა, ისტორიკოსის მოვალეობაა.

ამრიგად:

XX საუკუნის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფები. მართალია,ზოგი იდეოლოგიური

მიმართულება პოლიტიკურ პარტიად ან საზოგადოებრივ ორგანიზაციად გვიან გაფორმდა, მაგრამ ეს იდეოლოგია ქართულ პრესასა თუ პოლიტიკურ მოაზროვნეთა ცალკეულ ნაშრომებში XX საუკუნის I ნახევრიდან გამოიკვეთა. ამასთანავე, ევროპული ტიპის პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა საქართველოში მოდერნიზაცია განიცადეს, რაც ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობით იყო გამოწვეული.

თემაზე შემდგომი მუშაობისას ცალ-ცალკე წარმოვადგენთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ჯგუფს XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, რადგან დღეს არსებული პარტიები და ორგანიზაციები იდეოლოგიურ საფუძვლებს ადრიდან იღებენ. განვიხილავთ მათ მონაწილეობას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ეს იქნება ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის, ნაციონალიზმის, სოციალიზმის, კონსერვატიზმის, ანარქიზმის, მონარქიზმის, ქრისტიანული და კონსტიტუციური დემოკრატიზმის, ახალი მემარჯვენეობის, ლეიბორიზმის, პატერნალიზმის და სხვა იდეოლოგიის თეორიული და ორგანიზაციული ჩამოყალიბების პროცესი, მათი ეროვნული პროგრამები თუ მათი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და განმტკიცებაში. საქართველოში დღეს არსებული პარტიების იდეოლოგიისა და ეროვნული კონცეფციების შესწავლა ხელს შეუწყობს საზოგადოების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, საარჩევნო ელექტორატს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებასა და სახელმწიფოებრივი პოზიციის გამოვლენაში, XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათ მიერ შეტანილი წვლილის გააზრება კი ხელი შეუწყოს ამ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი საკითხის გაანალიზებას, საქართველოს ისტორიის ბევრი პრობლემის ახლებურად დამუშავებას.

დასახელებული ლიტერატურა:

1. Ясперс К., Истоки истории и ее цель; М. 1991б стр. 193
2. ენდრიუ ჰეივუდი, "პოლიტიკური იდეოლოგიები", გამომცემლობა"ლოგოს-პრესი", თბ.,
3. Арон Р., Введение в философию истории; Диалектика: проблемы и поиски; М. 1988
4. Хабермас Ю. О субиекте истории. Краткие замечания по поводу ложных альтернатив; М. 1995, стр. 283
5. Тойнби А., Постижение истории; М. 1996
6. Сербин В., Кризис нашей цивилизации; М. 1993
7. ჟან ბეშლერი, "ნაციონალიზმი", თბ., 2002წ.
8. Markuse, One Dimemensional Man, 1964

9. Mannheim, Ideology and utopia, 1929 (1960)

10. Oakeshott; Rationalizm in Politics; 1962
11. ილია ჭავჭავაძე, თხზ. აკადემიური ოცტომეული, ტ.VI-X
12. ნიკო ნიკოლაძე, თხზ. რვა ტომად, თ.I-VIII
13. სერგეი მესხი, თხზ. 3 ტომად
14. არჩილ ჯორჯაძე, თხზ. ტ. I, თბ., 1911წ.
15. კიტა აბაშიძე, "ჯვარს აცვ ეგე", თბ., 1991
16. გიორგი ლასხიშვილი, "მემუარები", გამომცემლობა "საქართველო", თბ., 1992წ.
17. დავით კაკაბაძე, "გიორგი მაიაშვილი(ზდანოვიჩი), გამომცემლობა "საბწოთა საქართველო", თბ., 1969წ.
18. ალექსანდრე ასათიანი, "ძველი და ახალი მემკვიდრეობა", პარიზი
19. ვაჟა-ფშაველა, თხზ. 10 ტომად, ტ. V-Vი, 1962წ.
20. სარგის კაკაბაძე, "საქართველოს მოკლე ისტორია", თბ., 1920წ.
21. ალექსანდრე ცაგარელი, "საქართველოს უცილობელი უფლებები", რუსულ ენაზე, 1919წ.
22. ნოე ჟორდანია", "ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი", თბ. 1908 "ჩემი წარსული", გამომცემლობა "საქართველო",თბ., 1990
23. რევაზ გაბაშვილი, "რაც მახსოვს", ემიგრანტულ მრავალტომეულში - "დაბრუნება", თბ., 1992
24. უშანგი სიდამონიძე, "საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია", თბ.,
25. აკაკი სურგულაძე, "მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან",
26. ალექსანდრე ბანდიანიშვილი, "ეროვნული საკითხი საქართველოში (191801921წწ.)", გამომცემლობა "მეცნიერება", თბ., 1980, "საქართველოს I რესპუბლიკა", თბ., 2001
27. გრიგოლ მარგიანი, "ბოსლეველი (ევსტათი მწედლიძე), გამომცემლობა "მეცნიერება", თბ., 1988
28. ნანული პაპავა, "სახალხო განათლება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში (1864-1900წწ.), თბ., 1963წ.
29. გერონტი ქიქოძე, "ეროვნული ენერგია", თბ., 1919წ.
30. ვახტანგ კოტეტიშვილი, "რჩეული ნაწერები", თბ. 1936წ.
31. ვახტანგ კოტეტიშვილი, "პუბლიცისტური წერილები გაზეთ "სახალხო საქმეში", 1918, 1919, 1920 წლები
32. ოთარ ჯანელიძე, "სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი", თბ., 2002წ.
33. გიორგი გვაზავა, "საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", წერილი II, პარიზი, 1928წ., წერილი

III, 1919წ.
34. ზურაბ ავალიშვილი, "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", I, თბ., 1990წ.
35. ალექსანდრე ასათიანი, "პარტიული ცხოვრება", ჟ. "სამშობლო", #12, პარიზი, 1932წ., "საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული
პარტია (1917-1937), ჟ. "სამშობლო", #21-22, პარიზი, 1937წ.
36. შალვა ამირეჯიბი, "ქართული სოციალ-დემოკრატიის კრიზისი", ჟ. "სამშობლო", #3-4, 1929წ.

37.Alter P., Nationalism, London, 1989
38.Brown D., Contemporary Nationalism: Civis, Etnokultural and Multecultural politics; London, 2000
39.Spenser P., Woliman H., Nationalism, London, 2002
40. ენტონი დ. სმიტი, "ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია", თბ., 2004წ. ქართულ ენაზე თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო მარიამ ჩხარტიშვილმა.